

ცესკოს დაკომპლექტებაზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა დააბრკოლებს ევროინტეგრაციის პროცესს

2024 წლის 19 მარტს საქართველოს პარლამენტმა ჩააგდო პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში Ḍ□□□□□□ ოცნების □ უმრავლესობის მიერ მიღებული ცვლილებების მიმართ, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების არჩევასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

ამრიგად, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევით, Ḍ□□□□□□ ოცნების □ მიე
კონტროლირებულმა პარლამენტმა შეგნებულად ხელიდან გაუშვა პრაქტიკულად ბოლო შანსი შეესრულებინა 2024 წლის არჩევნების წინ ევროკომისიის მოთხოვნები, რომლებიც

მოახლოვებულ, არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო რეფორმის ბოლომდე მიყვანას, ეუთო/ოდირის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინებას და საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას მოიცავს.

Ḍ□□□□□□□ ოცნების □ ეს ნაბიჯი შეუძლებელია შეფასდეს სხვაგვარად, თუ არა როგორც კიდევ ერთი შემაფერხებელი გარემოება ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია